

# შინაური საქმეები.

№ 43.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

მოკელ-კვირული გაზეთი

კვირა, 10 დეკემბერი 1912 წელი

მოკელ-კვირული გაზეთი

## შინაური საქმეები

საქმეები № 17 და თბილისში, გამოქვეყნდნ სომხის პარტიის, სომხთა და სომხური პარტიის დაქვემდებარებაში, კ. ქუთაისში სა-  
ბუნებისმეტყველების კატეგორიის უკ-

გაზეთის ფასი:

4 მანეთი.

2 მანეთი.

1 მანეთი.

2 მანეთი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულიან მკობრულად დასაძინებელი და განაწილებული; თვითონ და 1 იონის ა. მ.  
განსაზღვრს ფასი. წინაგვეთქვამ მკობრულად დასაძინებელი და 1 იონის ა. მ.  
ადრესი: ქუთაისი: „მანკური საქმეების“ რედაქტორს.

შინაურნი: 1. სიტყვა 26 კვირიაკეს—გვიმოკვოს ლე-  
ონილისა; 2. ქრისტიანობა და პარაგრაფი—მღ. ივანე  
ლუკიანოვისა; 3. ჩვენი უკუღმართობა—ომბიდან შო-  
ბანელი; 4. კრიტიკული შენიშვნები—ხომელისა; 5.  
საუბარი დეპუტატთან—„გაზ. თემი“; 6. იღუმალი ხმე-  
ბი—ბაბო მკედლიძისა; 7. რევიზია (რუსულიდან). ქვა-  
ყუდილისა; 8. მოწერილი ამბები სოფ. კობოული—  
სტუმბისა; 9. მადლობის გამოცხადება ა) მღ. ვლადი-  
მერ კანდელაკისა, ბ) მღ. არტემ გორგაძისა;

## სიტყვა

რც და მექესე კვირიაკესა.

(ჩვენი უკუღმართობის მაზეზი ცალმხრივი განათქვამა)  
სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა  
წმიდისათა.

მოკლე, მაგრამ დიდად საყურადღებო და  
საგულისხმოა დღევანდელი სახარება. „კაცისა  
ვისმე მდიდრისა ნაყოფიერ იყო აგარაკით“,  
გაევიგონებ; სახარებიდან. როგორც ხედავთ,  
აღებულთა კერძო და პირადი ხასიათის ბედნიერ-  
ება, მაგრამ საქმეც იმაშია ვიკოდეთ, რა  
შეხედულობისაა კაცი საერთოდ ბედნიერებაზე  
და დოგორ სარგებლობს იგი კერძოდ პირადი  
ბედნიერებით.

არის ქვეყანაზე ისეთი პირები, რომლე-  
ბიც ბედნიერებას განიცდიან, როდესაც ემსა-  
ხურებიან და ეხმარებიან, რითაც კი შეუძლიანთ.  
თავიანთ მოყვასს, თავიანთ მეზობელს თავიანთ

ნაცნობს და უცნობს, რომლებსაც ყოველთვის ლუკმა ყელზე ადგებათ, თუ მათ გარშემო სხვები შიმშილისაგან იტანჯებიან, რომლებსაც ახლად გამოცკლილი პერანგი ცეცხლის ალად ედებათ ტანზე, თუ თავიანთ მახლობლად ხედავენ შიშველ-ტიტვლებსა, რომლებიც ნეტარობენ მაშინ, როდესაც თავიანთ პირად ბედნიერებას სხვებსაც უზიარებენ და თავიანთ საკუთრებაში გარეშეებსაც ნაწილს უდებენ. სამაგიეროდ ამგვარი კაცების გვერდით არსებობენ ისეთებიც, რომლებს გულიც ყოველმხრივ და ყოველნაირად დახშული და შეკრულ-ჩაკეტილია მოყვასთა მდგომარეობის შესატყობად. რომლებსაც არაფერი არ ემეტებათ სხვებისთვის და, თუ პირადად თითონ სიამოვნების ტალღებში ცურავენ, სხვები, თუ გინდ რომ ცეცხლიც ეკიდებოდეთ, არ ახსოვთ და არ აღონებენ მათ. სწორეთ ასეთი გულდრმო კაცის მაგალითია დახატული დღევანდელ სახარებაში.

კაცს ზღვა მოსავალი მოუვიდა, მოსავლის შესანახად საკუთარი ჭურჭელი არ ჰყოფნიდა, აუცილებელი ხდებოდა მეზობლებისაგან საჭირო ბედლების დაჭირაება, მაგრამ იმდენად დამწვარი, ხარბი, გაუმადლარი. შეკრული და გაპირუტყვებული გულის პატრონი გამოდგა მოსავლის პატრონი, რომ ქირის გაღებაც სამძიმოთ დაურჩა, აუარებელი მოსავლის სულ მცირედი ნაწილის მიცემაც ვერ გაიმეტა მეზობლებისთვის და გადასწყვიტა: **ესე ვჰყო: დავარღვივნე საუნჯენი ჩემნი და უფროსნი აღვაშენნე, და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი, და კეთილი ჩემი და ვრქვა სულსა ჩემსა: სულო! გ-ვს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა; განისვენე, მსკამე, და ჰსვი, და იხარებდ.** (ლუკ. 12, 18—19).

საზიზღარია ამგვარი კაცი, ღვთის სასჯელია საზოგადოებისთვის ასეთი წვერი, ქირი და უბედურობაა ქვეყნისთვის ამგვარი პირი! მაგრამ, ძვირფასო მსმენელნო, ასეთ ქირს თითონ საზოგადოებავე აჩენს თითონ საზოგადოება და მნაშავე, რომ ღვთის ხატად და მსგავსებად დაბადებულ არსებას მტაცებელ და გაუმადლარ პირუტყვად ჰქმნის ბოლოს.

შეგიძლია შენი საკუთარი ვენახი ზეამლათაც, ე. ი. ტყის ვახად, კრიკინად, ბაბილოთაც აქციო და ჩინებული საფერავისა, რქაწითელისა და ოჯელიშის ზერადაც, შეგიძლია აბილაურისა, თურაშაულისა, სირმაშვილისა, ხეჭეჭურისა, გულაბისა და ნანაზირის წალკოტი მაქალოსი და ტყის მწარე პანტის სანერგედ გახადო. ყველა ეს დამოკიდებულია შენს გულმოდგინებაზე, ბეჯითობაზე, შრომაზე, შეგნებაზე და გამოცდილებაზე. თუ შენ ამ მცენარეებს არ მოაკლებ თავთავის დროზე გასხვლას, შეყელვას, გასუფთავებას, მორწყვას, ბარგათოხნას, გამარგვლას, ნიადავის განოყიერებას და მანეე ოთხფეხებს ახლო არ მიაკარებ მათ, ისინიც უსათუოდ შესაფერი სიუხვით დაგაჯილდოებენ ნაყოფიერობით, ისინიც, უმაღლეს ხარისხამდე სანაქებო თვისებების ხეხილით, შეიქნებიან შენი გამდიდრების უტყუარ წყაროდ. მაგრამ თუ ხსენებული ძვირფასი ჯიშის მცენარეები დაივიწყე, არ მიხედვ თავთავის დროზე, ნაცვლად გასხვლა-გამარგვლისა ცხენები და ძროხები მიაბი მათზე საძოვრად, სულ მოკლე დროში ჯიშისანი ხეხილის მცენარეები გაველურდებიან, გადაგვარდებიან, დაჰკარგვენ თავიანთ ჯიშის სანაქებო თვისებებს და ნაყოფს აღარ ექნება წინანდელი გემო, ფერი, წონა და ღირებულება.

ბუნების საყოველთაო წესია, რომ გავებული და შესაფერი ხელის შეწყობა, ე. ი. კულტურული ზეგავლენა აუკეთესებს, ავითარებს, ამაღლებს და ამდიდრებს საუკეთესო თვისებებით მცენარეებსაც, ცხოველებსაც და კაცსაც, ხოლო დატოება მათი გარეშე სათანადო ზეგავლენისა, შეგნებული პატრონობა-მზრუნველობისა უსათუოდ გადააშენებს, გაველურებს და დააკარგვინებს მათ ყველაფერს, რაც კი მათ სასიკეთო და დასაფასებელი აქვთ რამე.

ინგლისში, მაგალითად, მკოდნე და გამოცდილი ფრინველების პატრონები როგორც სურთ, ისე უცვლიან მტრედებს თავისა და ნისკარტის მოყვანილობას, რომელის ფერიც მოს-

წონთ, იმ ფერ ბუმბლს უჩენენ მათ ფრთებზე და სხ.

განათლებული და გემოვნება განვითარებული საზოგადოების წევრი საკმარისად უვლის და ეფერება თავის სხეულს, ამიტომ გარეგნობაც საერთოდ მოხდენილი და სანდობიანი აქვს, ამიტომ მისი კანიც სუფთა, ნაზი და რბილია მაგრამ, საკმარისია ესეთი პირი, რომელიმე შემთხვევის გამო, მოჰყვეს ველურთა შორის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იგიც ისე გაბაჯვლიანდეს, როგორც გარეული კაცები და მისი კანიც ტლანქი, უხეში, სქელი და ლაზათმოკლებული შეიქნეს, როგორც ველურებისა.

ყველაფერი ეს ვიცი, ყველაფერი ეს გვაქვია, ყველაფერ ამას ვასრულებთ კიდევ მცენარეებისა, ცხოველებისა და კაცის სხეულის შესახებ და საუბედუროდ ყველაფერი ეს დაეწყებული გვაქვს მხოლოდ ადამიანის სარწმუნოებრივი განვითარების საკითხში. იშვიათია რომ დედა გულმოდგინედ ზრუნავდეს სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე გაუთბოს და გაუშუქოს თავის ახლად შეძენილ შვილს ნორჩი გული ქრისტიანობის მაცოცხლებელი სხივით, იშვიათია, რომ ოჯახის მამა თავისი შვილების ზნეობრივად აღზრდისა, განვითარებისა და ამაღლების შურუნველობით ეწეოდეს უსათუოდ უმწიკლო და სათნოიან ცხოვრებას, უმაგალითოა, რომ საზოგადოება ერიდებოდეს ძარცვას, გლეჯას, სიყალბეს, ავაზაკობას, სისხლის დეკას, გარყინილობას, ლოთობას, მეძაობას და სხვა ათას გვარ ბოროტებას იმ მოსაზრებით, რომ ამითი არ გავხრწანა, მავნებელი ზეგავლენა არ მოვახდინო ახალ წევრებზეო. არა, ამაზე იშვიათად, ძალიან იშვიათად ფიქრობს ვინმე. თვეობით და წლობითაც ისე ცხოვრობენ ზოგიერ თა დედები, რომ ერთხელაც არ გაახსენდებათ თავიანთი ქრისტიანობა; მათ ყალბაზე და მკლავებზე აღზრდალი შვილები არასოდეს არ ყოფილან მნახველები, რომ მათ დედებს მიემართათ რისთვისმე უმაღლესი არსებისათვის, რომ მათი დედების რწმენა გამოხატულიყოს რომელიმე იდეალური, უანგარო საქციელით ან ქველმოქმედობით; მამები არა იშვიათად

სწორეთ შვილების თანდასწრებით იჭერენ ხოლმე ანგარიშს რა ბოროტება ჩაიდინონ, ვინ მოკლან, ვინ შეაცდინონ, გახრწან, გაავაზაკონ, დალუბონ და დაჩაგრონ; საზოგადოება თავისი ახალი წევრის ღირსებას იმითი ზომავს, თუ რამდენად ბასრი და მჭრელი კბილები აქვს მას სხვებთან საბრძოლველად, რა ღონე და მოქნილობა მოსდევს მას მკლავებში ცხოვრების ხეთქა-ქიდაობიდან გამარჯვებით გამოსვლისათვის, რა ხერხიანობისა, ოინებისა და უცნაური ქამანდების პატრონია იგი და იმის სათნოებას, გულრბილობას, იდეალურ მიმართულებას, ზნეობრივ აღფრთოვანებას და სიმართლეს პატიოსნებას სრულებითაც არ დაეძებს. მაშ რა გასაკვირველია, რომ ოჯახისა, მშობლებისა, ნაცნობ-ნათესავებისა და საზოგადოების მხრივ კეთილ ზეგავლენას მოკლებული მოზარდი თაობა ზნეობრივად ველური და პირუტყვიია? რა გასაკვირველია, რომ აღარსად სჩანან საზოგადო კეთილდღეობისა და მოძმეთა ბედნიერების მოციქულები, უანგარო მუშაეები და ზეარაკად გამზადებული პირები? რატომ არ ვიცით, რომ ნაჩვენებ პირობებში აღზრდილი მოქალაქე ზნეობრივად ცხოველობას ვერ გასცილდება და ამიტომ მუდამაც მოწადინებული იქნება, რომ ყველაფერი თავის თავს ანაცვალოს, თავის კუჭს მიჰკერძოს, ქვეყნის სიმდიდრე ფართო ჩინჩახეში ჩაილაგოს, რომ მარტოდ მარტო თითონ იცოხნოს, თითონ დეკოს და ისაზრდოვოს?

ცხოვრება გაძნელდა, სულის მოთქმა აღარ გვაქვს, მთასა და ბარს ვასკდებით, რომ რამეფრათ შევისუბუქოთ გაჭირვებული ყოფა, მაგრამ გზა ვერ ვაგვიგნია. აგერ ახლაც სოფელელსა და ქალაქელს ყველას საკანონმდებლო დაწესებულებისაკენ მიგვიპყრია თვალი და იქიდან მოველით ხსნასა და შველას. მაგრამ ვაი, რომ არც ეს იმედი ვაგვიმართლდება, რადგანაც კანონმდებლები ჩვენზე საზოგადოების სისხლისა და ხორცის შვილებია, ჩვენივე მიმართულების პირებია, იგივე კაცებია, რომლებსაც ცხოვრებაში ღირსებად უთვლით სხვებთან საბრძოლველად კბილების სიმწვეტეს და ბასრობას და

არა სათნოებისა, ღმობიერებისა, იდეალური მიმართულებისა, ზნეობრივი აღფრთოვანებისა და სიმართლე-პატიოსნების მოციქულობას!

აბა, სიკეთე კაცს შორიდან არ ევლინება. ჩვენი ცხოვრება ისახება ოჯახში, ჩვენი პირველი ხელმძღვანელები მშობლები და მახლობელი ნათესავებია, ჩვენი საბოლოოდ გამწვრთნელი და გარკვეული მიმართულების მომცემი მშობელი საზოგადოებაა. აქ, ოჯახში და მშობლიო საზოგადოების წილშია სათავე ჩვენი ცხოვრების სიტკბოებისა, და სიმწარისა, წინსვლისა და დაღუპვისა, განათლებისა და სიბნელისა, სიწმინდისა და ანღვრვისა. ოჯახმა და საზოგადოებამ უნდა ავგინთოს ყველას გულში გაუქრობელი ლამპარი ძმის სიყვარულისა, საერთო კეთილდღეობისათვის თავდადებულობისა, უსათუოდ სიმართლეზე და პატიოსნებაზე სიარულისა ყოველ შენმთხვევაში და დიად, მერე საკანონმდებლო დაწესებულება, შვებისა და ბედნიერების ღონიერ ნაკადულით შემოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში.

რამ უნდა შემოაბრუნოს ჩვენი ოჯახი და საზოგადოება უკუღმართობიდან სასურველი სიკეთისაკენ?

სწავლა-განათლებამ, მოზარდი თაობის, შეგნებულმა აღზარდამ.

სწავლა განათლება უსათუოდ უნდა სწვდებოდეს ადამიანის არსების თვითეულ მხარეს, იგი უნდა შეეხებოდეს კაცის ხორცსაც და სულსაც, ტვინსაც და გულსაც, ქუასაც და გრძობებსაც, სეინდისსაც და ზნეობასაც. თუ სწავლა-განათლების საქმეში არ არის სისრულით დაცული ასეთი ყოველმხრიობა, თუ სწავლა-აღზრდის პროგრამიდან გამოტოვებულია ადამიანის არსების რომელიმე მხარე, რომელიმე ძალისა და ნიჭის გაწვრთნა, გაფართოება და გაფურჩქნა, სწავლა მიღებულიც ისეთივე ცალმხრივი, გვერდელა და დამახინჯებული გამოვა, როგორც მცენარეები, რომლებსაც მხოლოდ ერთი მხრიდან უყურებს მზე.

ჩვენი სასწავლებლები კი სწორეთ ამ ცალმხრივობაზე არიან აგებულნი. მთავარი ყურადღება სასწავლებელის იმაზეა მიქცეული, რომ

მოსწავლეებს შეათვისოს ხუთი თუ ექვსი უცხო ენა, ქვეყნის ქალაქებისა, მდინარეებისა, მთებისა და მინდვრების სახელები და იმდენად გაწვრთნას მათი სხეული, რომ აღარავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდეს მათთვის ხუთი ადლის სიფართოის თხრილზე ჩიტივით გადაფრენა და გაქანებული მატარებლიდან უვნებელად ჩამოხტომა. ის გარემოება კი, რომ არც ერთ სასწავლებელთან არ არსებობს სახლი ღვთისა, რომ არც ერთი სასწავლებელი არსებითად არა ზრუნავს, რომ მოსწავლეები განვითარდნენ სარწმუნოებრივად, არავის ჩვენთან არ აღონებს და არ აწუხებს...

აი ამ გვარმა მიმართულებამ, ამ გვარმა სწავლამ და გაწვრთნამ შობეს და აღზარდეს ის ხარბი და გაუმძღარი ორ ფეხი ნადირი, რომლის საზარელი სურათიც დაგვანახვა დღეს სახარებაში.

საყვარელნო, ვისმინოთ ღვთისა და ჩაუკვირდეთ, რა გზას ვადგევართ! ამინ.

**ეპისკოპოსი ლეონიდი.**

### ქრისტიანობა და პროგრესი.

(თარგმანი).

თანამედროვე განათლებულ საზოგადოებაში ხშირად იხმარება ცნება „პროგრესი“, რომლითაც იგულისხმება კანონი კაცობრიობის თანდათანობითი განვითარებისა და სრულყოფისა, ანუ წინსვლა ნაკლები სისრულისაგან მომეტებულ სისრულისაკენ. ყველა სცნობს ძალას და მნიშვნელობას ამ ისტორიული კანონისას, და ყველას უნდა შეეძლებისა და გვარად ხელი შეუწყოს კაცობრიობის ჩქარა განვითარებას. მაგრამ ზოგიერთ ადამიანებს განსაკუთრებით მიაჩნიათ თავიანთ თავი ისტორიული პროგრესის მსახურებად და მამოძრავებელად, და მხოლოდ თითონ იჩემებენ პროგრესის სისტემის სახელს, ხოლო ყველას, ვინც მათი მოაზრე არ არის უწოდებენ, და მიაჩნიათ, რეტროგრადებად, ესე იგი, ისეთ ადამიანებად, რომლებიც იჭერენ საზოგადოების პროგრესიულ მოძრაობას, ანუ, კიდევაც უკან ეწევიან მას, ეგრედ წოდებული პროგრესის სისტემი ვერ

არიან ეგრე-რიგად კეთილ განწყობილებაში სარწმუნოებასთან და ქრისტიანობასთან. სიტყვა „პროგრესი“ მოსჩანს ურწმუნო ლიბერალიზმის ბაიბალზე, და ამ ბაიბალით ურწმუნოება გამოდის საბრძოლველად წინააღმდეგ ეკლესიისა და მის დაწესებულებათა, წინააღმდეგ ქრისტიანობისა და მის-მიერ გავრცელებულ სარწმუნოება ზნეობრივ მოძღვრებისა. ურწმუნო პროგრესისტებს ქრისტიანობა ეჩვენებათ ისეთ ძალად, რომელიც აბრკოლებს კაცობრიობის წინსვლას; და ყველაფერი რაც დაფუძნებულია ქრისტიანობაზე, რასაც აქვს კავშირი სარწმუნოებასთან და ეკლესიასთან, მიაჩნიათ იმათ უკან დარჩენილად, უძრავად. ამისათვის იმათ უნდათ იმ გზებიდგან, რომლებზედაც მოძრაობს კაცობრიობა, განსდევნონ ქრისტიანობრივი სარწმუნოება, რომელიც იმათ მიაჩნიათ დაბრკოლებად პროგრესიულ მისწრაფებისა; და მტკიცედ-მორწმუნე პირებს ისინი უცქერიან მტრული განწყობილებით, როგორც წარმომადგენლებს სიბნელისა და მკვდარის უძრაობისა.

უნდა-კი ითქვას, რომ იდეა პროგრესისა სრულიადაც უცხო არ არის ქრისტიანობისათვის; პირ-იქით, იგი იმას ეკუთვნის მომეტებულად, მინამ რომელსამე სხვა აზროვნების მიმართულებას. და ყველა ძალებითგან, რომლებიც მოქმედობენ ისტორიაში, არც-ერთი ისე ძალიან არ უწყობს ხელს ჭეშმარიტ პროგრესს, როგორც ის ძალა, რომელიც აღინიშნება ქრისტიანობის სახელით.

ქრისტე მაცხოვრის მოძღვრებაში არა ერთხელ და ორჯელ არის ნაჩვენები კანონი კაცობრიობის თანდათანობითის განვითარებისა, კანონი, რომელიც მოქმედობს ისტორიაში, და რომელსაც იგი უქვემდებარებს ღვთის სასუფევლის აღზრდას ქვეყანაზე. მოიგონეთ იმის იგავები მდოგვის მარცვალზე და პურის-ცომზე. **„მზგავს არს სასუფეველი ცათა, ამბობს მაცხოვარი, მარცვალსა მდოგვისასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თვისსა მტელსა, რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძინდის, უფ-**

როს ყოველთა მხალთა არს იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი, და დაადგრიან რტოთა მისთა. მსგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოიღო დედა-კაცმან, და შეჭრთო იგი ფქვილსა საშსა საწყაულსა, ვიდრემდე **ალაფუნა იგი ყოველად.**“ (მათ. XIII, 31—33). შედარებანი, რომლებიც მაცხოვარმა იხმარა, ცხადად გვაჩვენებენ, რომ ზნეობრივი ძალები კაცობრიობისა პატარაობიდან თანდათანობით მიდიან მომეტებულ სრულყოფისაკენ. თვითუღ წვერს ღვთის სასუფევლისას, რომელიც თანდათან უნდა იზრდებოდეს მაცხოვრისაგან ნამცნები აქვს, ერთ ადგილას კი არ იდგეს უძრავად, არამედ მთელის ძალონით სცდილობდეს ერთი საფეხურიდგან მეორეზე ავიდეს, დაბლიდგან მაღლა, ნაკლები დიდებიდგან მომეტებულ დიდებისკენ. მაცხოვარმა ამცნო ყველა თავის მიმდევრებს უმაღლესი იდეალი, რომლის განხორციელებისკენაც თვითუღი ჩვენგანი უნდა მისწრაფვიდეს.

**„იყვენით თქვენ სრულ, ამბობს იგი, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს.“** (მათ. V, 48). სისრულე ზეციერის მამისა განუსაზღვრელია. და აი ქრისტიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიდის წინ, მიდის გაუჩერებლივ, რომ მიუახლოვდეს ამ იდეალს რომელიც ჰპირდება მას ნეტარებას და სიხარულს. ჩვენ გვწამს, რომ თვით სიკვდილიც ვერ გააჩერებს ამ წინ-სვლას, რომელიც ჩანერგულია ქრისტიანის სულში. ის პროგრესიკი, რომელიც მტრულად უცქერის ქრისტიანობას, ასე შორს ვერა შლის თავის გავლენას, რადგანაც ის ველარაფერს ხედავს სიკვდილის იქით, და უკანასკნელს ბოლოს კაცისას ხედავს მოსაწყენ და უღონო სიბერეში და სიკვდილში.

ღვთის სასუფეველში ანუ ქრისტეს ეკლესიაში ყოველივე მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს საზოგადო და კერძო ზნეობრივ წარმატებას ანუ პროგრესს; ამისთვის არსებობენ მასში სხვა და სხვა დაწესებულებანი და წოდებანი; ამისთვის მიეცემა ყოველ-

გვარი ნიკი მადლისა. „თვითოველსა კაცად-კაცადსა ჩვენსა, — ამბობს პავლე მოციქული, — მოცემულ არს მადლი საზომისაებრი ნიკისა ქრისტესისა. და მან მოსცნა რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინასწარმეტყველნი: რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღვარნი, დასამტკიცებულად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებულად გვამისა ქრისტესისა; ვიდრემდე მივიწივნეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა მამა-კაცად სრულად, საზომად ჰასაკისა საგნებისა მის ქრისტესისა“ (ეფესელთა, IV 7, 11—13). განაგრძობს-რა სიტყვას, მოციქული გვარჩევს, „რათა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩვილ, არ დაერჩეთ დაბალ საფეხურზე აღზრდისა, არამედ წარვემატებოდეთ, და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ-არს თავ მისა ქრისტე“ (ეფეს. IV, 14, 15). განა შეიძლება მოძღვრებას, რომელიც ჰქადაგებს ასეთ წესებს, ვუწოდოთ უმოძრაო? პირ-იქით, იღვია პროგრესისა და მუდმივი წარმატებისა არის მისი ნამდვილი კუთვნილება, და აქედან არის აღებული და მითვისებული იგი ადამიანებისაგან, რომლებსაც ესე თავი მოაქვთ პროგრესიული მიმართულებით.

ქრისტიანობა არამტუ ხელს უწყობს პროგრესის შემცდნებას, არამედ იგი შეადგენს მის უეჭველ პირობას: ქრისტიანობაში არის ჩადებული ისეთი მარცვლები და ძალები, რომელნიც ამოძრავებენ წინ ხალხს, და ურომლისობადაც ჩერდება ანუ ფუჭდება ისტორიული განვითარება კაცობრიობისა.

კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი ძალა, რომელსაც ისე ხელი შეეწყოს კაცობრიობის წინ-სვლისთვის. როგორც ქრისტიანობა. ძველი ქვეყანა, მაცხოვრის მოსვლის წინ, შესამჩნევად დაუძლოდა და უვარგისად შეიქმნა. იგი წარმოადგენდა ბებერ ხეს, ფოთლები გაცვივებულს, გამხმარს, უსიკოცხლოს. ცხოვრების მეთვალყურე ადამიანები უიშედოთ სასოწარკვეთილებით უცქერდნენ მომავალს, და იმათ თვალწინ ესახებოდათ მომავალში სუ-

რათი საყოველთაო აოხრებისა, რომელშიაც დაიღუპება ყოველი ცხოველი, თუ არ გამოიცილება ცხოვრებითი ურთი-ერთობა, და თუ არ დაბრუნდება უკან ოდესმე დაკარგული ოქროს ხანა. იდეალები ძველის ადამიანისა ისახებოდნენ წინ-კი არა, არამედ უკან, მომავალში-კი არა, წარსულში. ქრისტიანობამ შეიტანა ახალი გამაცხოველებელი ნოყიერება ხნობაში შესულ ხეში, ხე ხელახლა გამწვანდა, გამოიღო ახალი ყლორტები და ტოტები შეიმოსა ფოთლით, დაიწყო ზრდა სიმაღლით და სივანით. მთელი კაცობრიობა რომ ერთ სხეულად წარმოვიდგინოთ, მაშინ არ შეიძლება არ მივიღოთ, რომ ამ სხეულმა გამოიჩინა ცხოველი ძალა აღზრდისა განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ქრისტიანობის განმარტებელ გავლენის ქვეშ მოხდა.

ქრისტიანობის ცხოველ-მყოფელი სულის დაბერვამ განაახლა ძალა-გამოღეული, მიხრწნილი ბუნება ძველის კაცობრიობისა; იმან იქონია გამაცხოველებელი გავლენა ყველა დარგებზე ადამიანის მოქმედებისა. მიაქიეთ ყურადღება კაცობრიობის ცხოვრებას გონებრივის მხრივ. პროგრესი ამ დარგში, პროგრესი ნამდვილი და მუდმივი დამყარებულია მხოლოდ ქრისტიანობის ნიადაგზე. იყო მეცნიერება ქრისტიანობამდისაც; ძველი ისტორიის განმავლობაშიაც ემჩნეოდა გონებრივი მოძრაობა, ჩნდებოდნენ ნიკიერი მოაზრებები, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებით ამდიდრებდნენ ცოდნის მხარე, მაგრამ ვინ იტყვის, რომ გზა აზროვნებისა და ცოდნისა, რომლითაც მიდიოდა ხალხი ძველად, მიდიოდა სრულყოფისაკენ, და რომ გონებრივი სიმდიდრე, მაშინ შეგროვილი, არ გამოიღეოდა? არა, იყო დროდადრო აღფრთოვანება გონებრივის ცხოვრებისა, მაგრამ არ იყო მუდმივი დაუყენებელი წინსვლა. ძველი ისტორიის დასასრულს გონებრივ, შემოქმედებით გენოსობას ძალა გამოეღია, დასუსტდა. ცოდნის ნამდვილი სავანი, — მანათობლი ქეშპარიტება, — არა ჰქონდათ აზრში; გონებრივი ცხოვრება ნელ-ნელა სქენებოდა და კვდებოდა. გარნა

ქრისტეს მოძღვრებამ მისცა კაცობრიობას ქვემარტება, და მასთან ერთად შეიქნა გამაცოცხლებელ ძალად მომაცვლავი აზროვნებისთვის. ეს ქვემარტება, ქრისტიანობის-მიერ მოტანილი, იყო ის პუროს ცოში, რომელმაც შერეულმა სამ წყება ფქვილში, მოახდინა მსწრაფლ გაღვიება ცოშისა. როდესაც რომელიმე ხალხი იღებდა ქრისტიანობას, ამ ხალხში შესამჩნევად ცხოველდებოდა გონებრივი შემოქმედებითი ძალები, გამოდიოდნენ გენიოსები, რომელთაც წინ მიჰყავდათ საზოგადოება. გადაათვალიერეთ ისტორია ევროპიელი ხალხებისა: ყველა ისინი, მანამ წარმართობაში სცხოვრებდნენ იყვნენ ველურ მდგომარეობაში; მაგრამ როგორც-კი შეეხო მათ სხივი ქრისტიანობისა, თითქოს გაიღვიძეს ღრმა ძალისაგან ჩაერივნენ კულტურულ ისტორიულ ხალხების წყებაში, და სისწრაფით წაყიდნენ განვითარების გზაზე. თანამედროვე მეცნიერება ფართოდ განვითარდა და დაშორდა იმ ცოდნის წყაროს, რომელიც იმყოფება ქრისტიანობაში. მაგრამ იგი არის ნაწარმოები (თუმცა შორეული) იმ გავლენისა, რომელიც იქონია ქრისტიანობამ ხალხის გონებრივ ზრდაზე: მისი ფესვები იმყოფება იმ გონებრივ მსწრაფებებში, რომლებიც პირველად აღმოცენდნენ ქრისტიანობის ნიადაგზე და იყვნენ ეკლესიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ქრისტიანობას რომ არ გამოეწვია კაცობრიობის ეს გონებრივი ზრდა, ხალხები ვერ შექმნიდნენ თავისათვის მეცნიერებას და იცხოვრებდნენ უმეცრებაში, როგორც სცხოვრებენ ეხლა ის ხალხები, რომლებსაც არ შეჰხებიათ ქრისტეს გამაცხოველებელი სარწმუნოების სიტყვა. უნდა აღინიშნოს რომ აღარაფერი საერთო არა არისრა ქრისტიანობის მოძღვრების და თანამედროვე მეცნიერების თამამი გიპოტეზების შუა. ეს ხეტიალი აზროვნებისა, რომელიც აღზრდილია ქრისტიანობისა, და რომელიც სკდილობს გაუცალკევდეს მას, მოგვაგონებს ხეტიალს კომეტებისას, რომელთაც თითქოს დაჰკარგვიათ თავიანთი მიმზიდველი გული და ჰფრინავენ უგზო-უკვალად ქვეყნიერების უსახლო სივრცეში.

გარნა, კომეტებს თუ არ უნდათ დაიკარგნენ,—სხვა პლანეტების მზგაესად, უნდა დამორჩილდნენ მიმზიდველობის კანონს და იტრიალონ ერთი რომელიმე ცენტრის გარშემო. ვფიქრობთ, რომ მეცნიერებასაც უნდა ჰქონდეს თავისი ცენტრი, რომელიც იქერს მას და მართავს: წინააღმდეგ შემთხვევაში იმას მოვლის საშიშროება დაღუპვისა განუსახლვრელ ზღვაში არსებობისა, რომელსაც იგი იკვლევს.

**მლ. იოანე ლუკიანოვი.**

შემდეგი იქება.

**ჩვენი უკუდართობა.**

დიდათ პატივცემულო მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ და თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით გულის წყრომა გამოუცხადოთ იმ ყოვლად მახინჯს და არაფრის მსგავს პროვოკატორებს, რომლებიც ძმათა და მამა-შვილთა შორის შუარისა და მტრობის თესვის მეტს არაფერს აკეთებენ. ყოველმა გონებით ფხიზელმა და მიუდგომელმა ადამიანმა უნდა დაგმოს ის პროვოკაციით საგვს პოლემიკა, რომელიც ამ მოკლე დროში აღძრა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ცნობილმა ჯგუფმა. ბევრია, მამაო რედაქტორო, გულდათუთქული ამ შურისძიებით გამოწვეულ პოლემიკით, მაგრამ რა ქნან, ყველას ხომ არ მიუწვდება ხელი, რომ პრესის საშუალებით თავისი შეხედულობა გაუზიაროს საზოგადოებას და გაავებინოს, რომ უბრალო მდაბიო ხალხშიც გაიღვიძა თვითცნობიერებამ და ისიც ფხიზელი თვლით ადევნებს თვალ-ყურს ყოველ საზოგადო მოვლენას და არჩევს თეთრს შვიდან. მე მოგახსენებთ ჩვენი დიდებული მგონისა და სიამაყის, აკაკის შესახებ ამტყდარ პოლემიკაზე. ჩვენმა სამშობლოს ორგულებმა იშოვეს დრო, დაიხვიეს ხელზე აკაკის გაშვეება და ასტეხეს განგაში და შურის თესვა, რომელიც ჩვენ, მკითხველთა შორის ზიზღის მეტს არაფერს იწვევს. ამასთან დიდათ გვალონებს ის გარემოება, რომ დიდებული

მგოსანი თავის პროვოკაციის და შურისძიების საგნათ გაიზადეს. თითქოს მგოსნის მიმართ ვისმეს უპატივცემულობა გამოეჩინოს, თითქო მგოსანს ვინმე ქვეყნის ორგულობას და მოღალატობას სწამებდეს. თვით კი ისე მოიკატუნეს თავი, ვითომდა ძალიან გული ეწვისთ. ნამდვილად კი თავის პირად ინტერესების იარაღათ გაიზადეს იგი, ან უკეთ ვსთქვათ მისი გაშავების საქმე. განა შეიძლება კიდევ ამაზე უარესი ხელოვნური პროვოკაცია? გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს ბეჩავ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი ქართველი, რომ აკაკის სახელი გულში არ ქონდეს აღბეჭდილი და უსაზღვრო პატივისცემით არ იყოს მისდამი გამსჭვალული. წინააღმდეგის მტკიცება მთელი ქართველი ხალხის შეურაცხება იქნებოდა და უსინდისო პროვოკაცია!

მაშ ვის უნდა ვსცეთ პატივი და ვის უნდა ვეთაყვიანოთ, თუ არა ილიას და აკაკის და მათ მსგავს მოღვაწეებს? ჩვენ, ხალხს, მასს, კარგათ გვესმის, რომ ილიასა და აკაკისთანა ცოტა იზადება და ვაფასებთ კიდევ მათ ღვაწლს, მათ ქვეყნად მოვლინებას. პროვოკატორებმა ხელოვნურად ჩამოაგდეს ხალხსა და მის საყვარელ მგოსანს შორის შუღლი, რომ ერთი მეორეს შეაძულონ, მაგრამ ვკითხოთ ამ ვაჭბატონებს: ვის გვაძლიერენ ილიას და აკაკის მავიერ, ვის ასუპებენ მათ ღირსეულად დამსახურებულ ტახტზე? ჯარ. ჩავიძებს? ისრდორე რამდენი ვილს? ფილიპე მახარაძეს? თუ ნოე ყორღანიას? ჩვენ ძალიან კარგათ ვცნობთ ამ მკვირალა ჯენტლმენებს და მათ დამკაშვებს, რომ მათ მივუყვადლოთ და გავყვეთ!

თუ ამ ვაჭბატონებს ერსა და მის ხატოფილო მგოსანს შორის შუღლისა და სიძულლილის დათესა არ უნდაოდა, აბა ერთი გვიბძანეთ, ბატონებო, რა შუაშოა დიდებული მგოსნისადმი პატივისცემა და სიყვარული და მისი პოლიტიკურ არჩევნებში გაშავება ან გათეთრება? შეიძლება კაცო დიდებული შწერალიც იყოს, მგოსანიც და ხალხის სათაყვანებელი კერპიც, მაგრამ დოსტაქარი არ

იყოს და დოსტაქარის ადგილზე არ აირჩიონ და განა ეს სიძულლილისა და უპატივცემულობის შედეგი იქნება? არა და ათასჯერ ირრ! ეს კარგათ ვსმისთ პოეტის ცრუმოსარჩდეებსაც, მაგრამ მათი ტაქტიკური მოსაზრება მოითხოვდა, რომ მგოსანსა და ხალხს შორის გადებულნი ხილი ჩატებრილიყო. ჩვენდა სასიამოვნოთ ეს არ მოხდა, მაგრამ მსცოვან მგოსანს გულრიშანც გაუტყუნეს, ხალხის ნდობაში ეკვი დაუბადეს. პოეტი ჩივის, „სახალხოვლებმა და იმერეთმა“ მოღალატეთ ჩამთვალესო. არ გვეგონა, თუ პროვოკაცია მგოსანს ასე გაუტყუნდა გულსიშპრესასზე, რომლის პატივისცემაში მას არასოდეს ეკვი არ შეპარვიანა. მსკარაა მგოსანს მტროვოკატორების მხვეწპლი შეიქნა ჩვენ გვალოვნებს ეს ვარემოება. არც გვეგონა, თუ მგოსანს ასე გაიტაცებდენ ინტრიგებით, გატენილ შავი ძალები! და ამიტომ ჩვენც გადაჭრით ვაცხადებთ, რომ აკაკი მამულისთვის, თავდადებულ შვილია და არა მოღალატე და გამცემელი, ხოლო თუ იგი ამომჩრეველებთა გუნდში არ მოხვდა, ეს იმიტომ რომ ხალხს წამოყენებული ყავდა თავის კანდიდატი ბევრით წინეთ, ხანამ აკაკი ყუთის დაღვამაზე სურვილს განაცხადებდა და კიდევ იმიტომ, რომ ამომჩრეველებს კარგათ ქონდათ ვათვალისწინებულნი, რომ მათ ეჭირვებოდნათ არა პოეტი, არამედ პოლიტიკოსი, თავის ამომჩრეველებს პოლიტიკურ ინტერესების დამცველი, და ეს ვარემოება სრულგებთარ ამცირებს პოეტს და არც უნდა სწყენოდა მას, წინააღმდეგ კიდევ უნდა ვახარებოდა, რადგან ხალხი სრულიად შეგნებულთ მოჭმედობდა. და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ასეც მოხდებოდა, თუ განძრან არ გზმოცწვიანთ ძმათა გადამამტერებელი მხამით სავსე პოლემიკა. კმარა, ბატონებო! გვეყო ამოდენი შურის თეხვა, გვეყო მხვეწპლი! ამ შურის თეხვამ მოვეტაცა სსუკეთესო მამულიშვილი, გენოსნი პოეტი, ფილოსოფოსი, ერის სიამაყე, ჩვეულო მოღვაწე და ადამიანი ილია ქაქუაყაძე! იკმარეთ ეს სხვეწპლი! რათი ქათუნობა მამულიდან შორიანძლი.



### პრიციპული შენიშვნები.

„საგულმგობრივი“ სალიტერატურო კრებული. წიგნი 1.)

მაგრამ, უნდა მოგახსენოთ აქვე, რომ ჩვენს მწერალს, რომელიც მეტად სიმპატიური ნიჭით არის დასაჩუქრებული, ამდენი ხნის განმავლობაში ერთიანი ფსიხოლოგიური ტიპი ქართველი კაცის ვერ შეუქნია და ვერ მიუცია ქართული ლიტერატურისთვის. თუმცა მას, როგორც დაკვირვებულს, ბევრი რამ ურო- მას სავანზე, ამდენი დრო შეეძლო ამის შე- სრულება, ესე იგი, მიეცა მწერლობისთვის სრულიად ახალი ტიპები იმ ცხოვრებიდან, რომელნიც ჯერ ვიდრე სრულიად ხელუხლებ- ბენია ჩვენს მწერლობაში. მე მოგახსენებთ ქა- რულსავე თფილისის ახლო-მახლო და განსაკუთრე- ტლ პიკესის სამხრეთ-მხარეზე მდებარე სოფლებს- თა ცხოვრებისას, რომელიც ძალიან ახლოს ეცნობა და ენათესავება ჩვენს ნიჭიერს მწე- რს. აქვე აღვნიშნავ თქვენს „თებერას დანიშნულში“ ავ- ტორს უცნაო მოეცა ჩვენთვის წმინდა რელი- გიური ნაწარმოები, მაგრამ ავტორის ჩინებუ- ლი, სურვილი მთლად განხორციელებული არ არის მაინც დამაინტ. მელორეების აღწერა ჩვენს მწერლობაში სულ პირველი საქმეა. ქართლში და ნამეტურ კახეთში მელორეებს თავისი ცხოვ- რება აქვთ. გამომჩენილი მოკიდავეები კახეთში ამ წრიდან გამოდიან და მე სრულიად წინააღმ- დევიც კი არ ვარ ისინი დიდი დაკვირვებით იქ- მენ შესწავლილი და დახატული მწერლო- ბაში მაგრამ ისეთი იდეალური პირის გამოჩა- ბა მე მელორეთა შორის, როგორც ვ. ბარნოვის „თებერას“ ავტორის წარმოსადგენი და ავტორს ნაქალაქი თანტაბისთვის დიდი ადგილი მიუ- ცნობს. მართალია, ის, რაც დაუხატავს ავტორს, პირდაპირ არ შეგხვდება ცხოვრებაში და მხატ- ვარს ყოველთვის შეუძლია საკუთარი განცდის, თანტაბის წყალობით წამატებულის (ВЫДУМКИ) დახატებით შემოკოს მოთხრობის გმირი, მაგრამ იმისათვის თავისი სახატვები აქვს...

...არის დახატული მოთხრობაში ის ადგილი, სა-

დაც მოთხრობის გმირი — თებერა ბავშვებს მოუ- ყვება იმ შიშის შესახებ, რომელიც ერთს დიდს ტვერში, ქანქრობის პირად მან განიცადა. შუა- დამისას, უმთვარო ღამეში იგი გამოაღვიძა უც- ნაურმა ძალამ. ქაობი განათლებული იყო სან- თლის სვეტებით. თებერა ჩაუკვირდა ამ სინა- თლის სვეტებს და თითოეულ სვეტში ქალის სახე აღმოაჩინა. ერთი იმათგანი თებერას იპა- ტივებდა და ისიც დიდი სიამოვნებით გაჰყვა მის მომხიბვლელს, სიამის მომგვრელს დახილს. ისეთი ტკბილი მეჩვენა იმისი ხმა, როგორც სალამურის სტევენა: მისმა დახილმა რბილად და- მთარა ტანში და გამათბო; მთლად მიმიზიდა იმისმა დიმილმა და მე უნებლიედ წავედი მის- კენ. ვიცოდი, რომ ხელს მომხვევდა და დამ- ლუბავდა, მაგრამ მაინც მისკენ მივდიოდი“.

ეს ადგილი სიმბოლიურად ხატავს მამა- კაცის ქალისადმი სამარადისო მიზიდულობას, რომელსაც თავდავიწყებადის მიჰყავს ხოლმე ბევრჯელ ქაბუცი ცხოვრებაში. ვ. ბარნო- ვის აზრით, სიყვარული უძლიერესი ძალაა, რომელიც საუკუნოდ აკავშირებს ორს არსე- ბას, რომელიც ყოველგვარ დამაბრკოლებელ ძალებს, წინააღმდეგ პირობებს დაიმორჩილებს და ორს არსებას სრულს ბედნიერებას მიანი- ტებს ამ ქვეყნად. ამგვარად, სიყვარულს ვერა- ფერი ძალა ვერ შეედრება. ასე კატეგორიუ- ლად სწყევტს ამ დიდ სავანს ჩვენი მწერალი ვ. ბარნოვი.

უმანკო, ნახი ეონა ავტორს ზომიერებით აქვს დახატული. ბევრი სულის სიტურფე, გუ- ლის სიცხველე გააშუქა ავტორმა ალაღ-მარ- თალ ადამიანის არსებაში.

დიდის დაკვირვებით არის დახატული ეს მელორე ბიჭი თებერა და მისი უანგარო, წმინ- და სიყვარული პირდაპირ ხიბლავს მკითხველს და იზიდავს დიდს ყურადღებას ამ ქაბუკის- კენ, რომელშიაც სქესობრივი გრძობა მეტად ძლიერად სცემს და ნაკადულივით ჩუხჩუხებს. მეორეს მხრით, მედუქნის თვედორას პირ- უტყული, ეგოისტური გულისთქმა, რომელსაც გულით უნდა უპატრონო ეონას შეუბღალოს წმინდა, ანგელიოსური სურვილები და სულით

და ხორცილ დაღუპოს იგი, სწორედ კარგად აქვს დახატული. ვ. ბარნოვი დარბაისელი, მეტად სერიოზული ქაროველი მწერალია. ეს იქიდან ჩანს, რომ იგი ძალიან მოწინააღმდეგეა და დიდის ყურადღებით ეკიდება თავის მოთხოვნის გმირებს და ამით თავის თავსაც აფასებს და თავის კალამსაც...

მხოლოდ მიკვირს ძალიან, ასეთს ფრთხილს მწერალს ენის მხრით რატომ ეტყობა დაუდევრობა და უყურადღებობა. მაგალითები: ლესამდა, ჰმახვამდა, ხავთით, ჰხედამდნენ, დაუდევარობით. მესხიერება, მემამიტად, ავლან (სომხური უნდა იყოს), გაეწაღდამდი, ბელგის მიცემა (სრულებით არ მესმის), დახშილი, გადმოჩნდა, კარებებს, აჩერდებოდა, ფშვინამდა, ხედამდა, ჰკარგამდა, სამსე, ამოიკითხამდა, ჩამომჩალი და სხ. და სხ.

ჩვენი მწერლები, არა თუ უნიკონი, ნიკიერნიკი კი, სამწუხაროდ, დიდი მოწინააღმდეგეა და დაკვირვებით არ ეკიდებიან ქართულ ენას, სალიტერატურო ფორმების ხმარებას.

უკვე გადაწყვეტილი ფაქტია, რომ ნიკიერი დახასიათება ყოველგვარი აზრის და ყოველდღიური მოვლენებისა ისეთი დიდი და ძლიერი ძალაა, რომელიც უახლოვებს მკითხველებს ჰემმარიტებას, ნამდვილი მწერლობის აზრს, სიმართლეს. პირიქით, ცრუ, უნიადგო, მოჭორბული სიტყვებით გამოთქმა აზრისა, გაურკვეველი, ბუნდი გამოსახვა ამ აზრებისა, ნამდვილი, ქართული სიტყვების გამოუნახებლად წინადადებათა დალაგება, დაწყობა, ქართული სტილის აბუჩად აგდება ლიტერატურას, უეჭველად გზას აუზნებს, ჰემმარიტების ანკარა წყაროს ამღვრებს და ქმნის მწერლობას ათასგვარი შეცდომილებათა და გარყვნილი, შეუწყნარებელი სიტყვების სალაროდ.

ეს ბიწიერება ისე მაგრად დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურაში, რომ მწერლებს პირდაპირ ეზიზღებათ სალიტერატურო ფორმების ხმარება და ჩვენი ნორჩი მწერლობა პროვინციულიზმების სათარეშო შეიქნა. მწერლები თითქმის ზიზღითაც ეკიდებიან სალიტერატურო ენას და ამიტომაც თავმოწონენ გაიძახიან:

საქმე ის კი არ არის, თუ როგორ გამოსთქვა შენი აზრი, როგორი ენა იხმარო, არამედ—**რა სიტყვა**, რა აზრები იქადაგო. და, აი, სწორედ აქ არის ჩვენი ლიტერატურის დაქვეითების მიზეზიც...

რა თქმა უნდა, სულერთია იმისთვის, ვინცა სწერს, თუ როგორ სწეროს, როგორ გამოსთქვას თავისი აზრები და გრძნობანი, რადგან ავტორი იმის ცდაშია, რომ ოღონდ კი გამოსთქვას გულზე მოწოლილი ფიქრი და აზრი და სხვას არც არაფერს დაგიდევს. მაგრამ მკითხველისთვის ეს სულერთი არ გახლავთ. რადგან მას, ე. ი. მკითხველს შეუძლია სრულიად სხვანაირად, შემცდარად გაიგოს მწერლის აზრი და ავტორის სურვილი, რომ ჰემმარიტებას და ცხოვრების სინამდვილეს ნათელი მოფინოს, შეიქნეს დასაბამი განუზომელი შეცდომილებისა და აზრების არე-დარევისა.

აუცილებლად უნდა მიექცეს დიდი, განსაკუთრებული ყურადღება ნიკიერი მწერლებისა სალიტერატურო ფორმებს, სტილს, წმინდა დახვეწილს ქართულ ენას, მის ძალ-ღონეს და სიტურფეს, რომელსაც ასე შევნივრად ფლობდნ და ხმარობდნ ჩვენი ენის დიდი მფუფენი: ჰავკეაძეები, ორბელიანები, წერეთლები, ბარათაშვილები და ერისთავები...

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

## საუბარი დეპუტატთან.

ამ სათაურით დაბეჭდილია 19 ნოემბრის გაზ. „ბაქოში“ წერილი ბ. „გან“-სა. ეს წერილი შეადგენს ამ გაზეთის თანამშრომლის ბაასს ახლად არჩეულ სოც.-ფედერალისტების დეპუტატთან, ბ. ვარლამ გელოვანთან. მოგვყავს ამ წერილიდან მხოლოდ ის ადგილი, რომელიც შეეხება ხსენებულ დეპუტატის მომავალ მოქმედების პროგრამას:

—„ჯერ პირველად, —უთქვამს ბ. დეპუტატს—საკიროდ ვთვლი აღენიშნო, რომ ჩვენ, ფედერალისტები სეპარატისტები არა ვართ. ფედერალისტები, როგორც ყველა დანარჩენი ქართველი პოლიტიკური ჯგუფები, აღიარე-

ბენ, რომ მათი სამშობლოს ბედობალი მაგ-  
რად და მკიდროდ არის გადაკეცილებული  
რუსეთის ბედობალაან. ამასთანავე ჩვენ  
ვფიქრობთ, რომ რუსეთის დაურღვევლობის  
და ძლიერების იდეის სრულებით არ ეწინააღ-  
მდეგება სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. პი-  
რიქით, განაპირა მხარეების ავტონომია, ცალ-  
კე ერების ფართო ადგილობრივი თვითმართვე-  
ლობა ხელს შეუწყობს უფრო მკიდრო და მა-  
გარ მათ გაერთიანებას საერთო სამშობლოს-  
თან. იგივე ავტონომია სასარგებლოა როგორც  
საზოგადო სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობ-

რივი ინტერესების მხრით. ამის მიხედვით და  
გუბერნიის მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ  
მკაფიოდ გამოთქმულ მონდობილების ძალით მე-  
ვილაპარაკებ სათათბიროში საქართველოს ავტო-  
ნომიის შესახებ, რის ისტორიული უფლებაც აქვს  
ჩვენ ქვეყანას. რასაკვირველია, იმედი არა მაქვს,  
რომ გავიმარჯვებ ამ მხრით, მაგრამ მე მაინც  
ვალდებულად ვსთვლი წარმოვსთქვა ქართვე-  
ლი ხალხის სურვილი და ამით ვაუწყო რუსის  
ხალხს. უნდა დაეუმეტო ამის ისიც, რომ ავტო-  
ნომიის საკითხი არის პროგრამა-მაქსიმუმი. უმე-  
ტეს შემთხვევაში, მე მომიხდება დაცვა ქართ-

# ახალი ჟურნალი „განთიადი“

1913 წლის პირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველთვიური ჟურნალი

# „განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ლეთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უკმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშეილის და აშ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ იენის 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.  
რედაქტორ-გამომცემელი მლ. ს. მჭედლიძე.

ველი ხალხის სხვადასხვა დღეებანდელ ეროვნულ მოთხოვნებისა: ეკლესიის, სკოლის მოწყობის და ენის უფლებისა და სხვ.

როდესაც ბ. „გან“-ი დაჰკითხებია, საქართველოს ავტონომიის იდეა ხომ არ გამოიწვევს უკმაყოფილებას სომხებსა და თათრებშიო, აგრეთვე ხომ არ გაუწვევენ მას წინააღმდეგობას იმ ერების მცხოვრებნი, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ და სცხოვრობენ ყოფილ საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზეო, ვ. გელოვანს უპასუხნია:

„მე უკვე ვსთქვი, რომ ფედერალისტები იცავენ არა მარტო თავის სამშობლოს ავტონომიას, არამედ ყველა ერების ნაციონალურ თვითგამორკვევას. რაც შეეხება ერების უმცირესობას, ყველა მათი უფლება როგორც უფლებათა მხრით თანასწორობაზე, ისე კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი საზოგადო-სახელმწიფოებრივი და აგრედვე ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ..“

იმ კითხვაზე, თუ რანაირ პოზიციას დაიჭერთ საზოგადო სახელმწიფოებრივი საკითხების გარჩევის დროს, ს. ფედერალისტების დეპუტატს მიუგია: — „მგონია, დაგაკმაყოფილებთ, თუ ვიტყვი, რომ თავრიდის სასახლეში ადგილს დავიჭერ მშრომელთა ჯგუფში („ტრუდოვიკებში). ეს ჯგუფი თავის ყოვლად დემოკრატიული პროგრამით და გლეხობის ინტერესების დაცვით (по своему тяготению къ крестьянству) ყველაზე უფრო უახლოვდება ქართველ ფედერალისტებს“.

ბოლოს ბ. „გან“-ი დაჰკითხებია, რა ურთიერთობა გექნებათ დანარჩენ კავკასიელ დეპუტატებთანო. ვ. გელოვანს ამაზე შემდეგი პასუხი გაუცია:

„ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ დაუახლოვდე მათ. ჩვენ, კავკასიელებს გვაქვს მორიგი საქმეები. მთლად ჩვენს ქვეყანა მოელის ისეთ აუცილებელ რეფორმების განხორციელებას, როგორც არის ერობა, ნაფიცი მსაჯულობა სასამართლო და სხვ. ამ საქმეების წინ წასასწე-

ვად უეჭველად საქირთა შეთანხმებული და შეგობრული მუშაობა ყველა კავკასიელ დეპუტატებისა“. („თემი“)

## იდუმადი ხმები!..<sup>1)</sup>

დადუმდა წყნარი საღამო. ჩამობნელდა... ქვეყანა სამარისებური სიჩუმით მოიცო, სიოც კი არსაიდგან იძვრის, თითქოს არ უნდა ღრმით დაფიქრებული ბუნება შეარყიოს და გაუქროს დიადი ოცნებებიო. გაშლილი მიდორ-ქალები, აქამდის ამაყად გამოშხირაღნი, ეხლა მოღუშულან. ლამაზათ აღმართული ხეები, აქამდის მუდამ მომცინარნი, მუღმივი მებრძოლნი ელვა-ქექის დროს, განაბულან, თითქოს მოგონებით თავიანთი მწუხარება, ობლობა, კაცის ძალა მათ მიმართ და მწარე ფიქრებში ჩავარდნილანო. არავისი ხმა არ ისმოდა. კაცი და მხეცი ყველა ერთბაშით მიღუმებულიყო, მხოლოდ მარტოკა მთვარე გამეფებულიყო სიჩუმით მოცულ არე-მარეზე; იგი ამაყად, ვარსკვლავებ შორის პირგაბადრული დასცქეროდა არე-მარეს... ცვარი ცრემლად ეპკურებოდა ვარდს, რომელიც მოსთქვამდა ბუნების ამგვარ მწუხარებას; მას თვისი სიმშვენიერით უნდოდა, რომ მოეხიბლა ბუნება ისე, რომ სიმწუხარისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ბუნება ისე იყო გატაცებული მწარე ფიქრებით, რომ ვარდის კრთოლვას, ნაზ ცრემლიან სახეს ვერც-კი ამჩნევდა... მას ამჩნევდა მხოლოდ ბულბული, რომელიც მთლად შეპყრობილი მისი სიმშვენიერით მალლიდან წყნარად დაჰგალობდა... ის კი არ იცოდა ბულბულმა, რომ მისი სტვენით ბუნებას დარდებს უორკეცება. ამ დროს ჩანჩქერმა ბუნებას ხმა მისცა: გამხნევდით! რამ მოგაწყინათ? კიდევ გათენდება, კიდევ ამოვა მზე, და თავის სხივებით გაგაბრწყინვებსთ, გამოვალვიძებსთ, და ვავაობობსთო. მანამ კი არაფერია, გაუძღვით სიბნე-

<sup>1)</sup> ეს ჩინებული ელევია პროზაოთ ეკუთვნის იმერეთის ეპარქიის ქალთა სასწავლებლის მეზიდე კლასის მღწავლის კალამს და ამიტომ სიამოვნებით სრულიად უცვლელად ვბეჭდავთ. რედ.

ლეს, გამაგრდით, ნუ დაეცემით, მეც ხმას მოგცემთ და ერთხმად ვიბრძოლოთ ღამის დასათრგუნელადო... ესა სთქვა და ისევ თავის გზას გაუღლა იმავ გამამხნეყინებელი დუღუნით. ამ დროს წელი წიავიც ამოვიდა, წყნარი შრიალით სიჩუმე დაარღვია... შენძრია ხეები, მინდვრებ-ქალები, მცენარეები... ხან აგერ მოღზე მოეფინა, ხან ეგერ ყვავილი ნახად შეარხია... მთელი ბუნება გაამხნევა, მოამზადა ღამის წყვილიაღის საბრძოლველად... მთა-ბარბაც ხმა მისცა... ჰარმონია და პოეზია შეთანხმდნ ერთად, განამტკიცეს მაღალი ძალა და მისი დიდება ერთხმად იგალობეს... თან-და-თან ნათლდებოდა... ამ დროს ჰაერში გაისმა ანგელოსთა გუნდის იღუმალი, მაგრამ ტკბილი სიმღერა:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს; ვინც ინატრებს იმის სიკვდილს, უმალ იმას დაამიწებს.“

ბაბო მკედლიძე.

## რ ე ვ ი ზ ი ა .

რუსულიდან.

კეთილმოწესემ მ. ონოფრემ მიიღო ცნობა კონსისტორიის ერთ ნაცნობ მოხელესაგან, რომ მღვდელმთავარი სულ მოკლე ხანში წამობრძანდება მისი ოლქის ეკლესიების დასათვალისწინებლად და თან სწერდა, თუ რას უფრო აქცევდა ყურადღებას მისი შეუფხება რევიზიის დროს. „პირველი და უკანასკნელი—იქონიეთ ეკლესიებში რაც შეიძლება მეტი სისუფთავე, თორემ ვაი მის დღეს, ვისაც შეამჩნევს ამაში დაუდევრობასაო“, ასე არიგებდა ნაცნობი მოხელე მ. ონოფრეს. მაგრამ მან უამისოთაც კარგად იცოდა ყოვლადსამღვდელო ხასიათი და დაუყოვნებლივ მისწერა სამღვდელოებს, რომ ეკლესიები და აგრეთვე ეკლესიების ეზოებიც დაესპეტაკებიათ. მ. ონოფრეს იმედი ქონდა თავის სამღვდელოების, რომ ის ღირსეულად დაუხვდებოდა მის შეუფხებას. მხოლოდ ერთი რამ აშინებდა მას: სოფელზე

ცოტა მოშორებით, ტყეში, იდგა ერთი ძველი ეკლესია, დიდი ხნიდან მიტოვებული, სადაც წირვა-ლოცვა არ სრულდებოდა და ფრინველებს თავის საბუდრათ გაეხადა. „ვაი თუ, იმის ნახვა მოისურვა არქიერმა! ვის შეუძლია იმის გასუფთავება! მაგრამ მე არ წავიყვან იქა და თვითონ რას მოიფიქრებს“. ასე იწუგებდა თავს მ. კეთილმოწესე.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ კიდევ მობრძანდა ყოვლადსამღვდელო და მ. ონოფრეს თანხლებით შეუდგა ეკლესიების რევიზიას. ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა სამღვდელოების მომზადებამ არქიელის დახვედრაში: ნემსი რომ გადავარდნილიყო, იმას დაინახავდა კაცი ეკლესიებში, ისე გაესუფთავებიათ ყოველიფერი. დიდი ნასიამოვნები შეიქმნა მისი მეუფება ამის ნახვით და დიდი მადლობაც გამოუცხადა როგორც სამღვდელოების, ისე კეთილმოწესესაც. მ. ონოფრეს აღტაცებას საზღვარი აღარ ქონდა: „წარდგინება ჯილდოზე ხომ უეჭველად მექნებაო“, იღიმებოდა თავის გულში ბედნიერი კეთილმოწესე. მისმა მეუღლემაც გაიგო, თუ როგორი კმაყოფილი შეიქნა მღვდელმთავარი მისი ქმრის ოლქის ეკლესიების დათვალისწინებით და, რასაკვირველია, ისიც გახარებული იყო თავისი მეუღლის ბრწყინვალე გამარჯვებით.

მოათავა რა ყველა ეკლესიების დათვალისწინება, არქიელი, გაემგზავრა მეზობელ ოლქის ეკლესიების სარევიზიოთ. გასაცილებლად თან ეახლა მამა ონოფრეც. გზაში მღვდელმთავარმა თვალი მოკრა შორს ტყეში ეკლესიის გუმბათს. „ის, ვგონებ, ეკლესია უნდა იყოს. რისთვის არ მანახე, მ. ონოფრე? წავიდეთ ნურც იმას დამატოვებებ უნახავით“—ბრძანა მისმა მეუფებამ, და, მ. ონოფრეს პასუხსაც აღარ დაუცადა, გასწია იქითკენ. მ. ონოფრეს ფერმა გადაკრა, მაგრამ რაღა უნდა ექნა—ძალაუნებურად გაყვა უკან.

მიუახლოვდნენ თუ არა ეკლესიას, ფრინველებმა, რომელთაც აქ კაცი დიდი ხანია არ ენახათ, მორთეს ერთი გამაყრუებელი ვივილი-ხივილი. ეკლესია შიგაც სავსე შეიქნა ფრინ-

ველებით და ჩამტვრეულ ფანჯრებიდგან ფართი-  
ფურთხით გარეთ გამოკვინდნენ. იატაკზე მუხ-  
ლამდინ ეყარა უსუფთაობა. საკურთხეველში  
კიდევ უარესი: ტრაპეზი მთლად დაფარული  
იყო ფრინველთა სკორეთი. არქიელს სახეზე  
მრისხანება დაეტყო. „ეს რაღა არის“-ო, წა-  
მოიძახა ერთბაშად მისმა მეუფებამ და მიაშტე-  
რა თვალი ზევით გუმბათს: პირდაპირ გუმ-  
ბათის ქვეშ თავით ჩამოკიდებულიყო ვებერთე-  
ლა ბუქნაქო (ბუ) და ძირს უშნოდ დაეშვა  
ფრთები: თურმე ჩიტების დევნაში გახლართუ-  
ლიყო კანდელის დასაკიდებელ მავთულებში ეს  
ღამის რაინდი და იქვე ჩამომხვალყო. „ეკლე-  
სიაში, სადაც უსისხლო მსხვერპლი იწირება,  
აქ ამისთანა საცოდაობას ვხედავო“, რისხვით  
წარმოსთქვა არქიელმა და გამოვიდა გარეთ.  
არც კი დამწვიდობებია მ. ონოფრეს, ისე  
გაუდგა გზას.

თავზარდაცემული დაბრუნდა შინისკენ მ.  
კეთილმოწყვე. „ჯილდოს ვინდა დაეძებს, სამ-  
სახურიდგან რომ არ გამომაგდებდეს! რა ეშ-  
მაკმა დაანახვა ის ეკლესია! ის ტიალი ჩემდა  
საუბედუროდ მანდამაინც იქ რამ ჩამოახრჩო!“  
იმეორებდა გულში მ. ონოფრე. შინ რომ მი-  
ვიდა, ცოლმა მხიარული შემოეგება, მაგრამ  
რა დაინახა ქმარი მოღვრემილი სახით, გან-  
ცვიფრებით შეეკითხა;

— კაცო რა დაგეშართა? გახარებული უნ-  
და იყო და ეს მოწყენილი რათა ხარ? ავათ  
ხომ არა ხარ?

ამის პასუხათ მ. ონოფრემ კიდევ გაიმეო-  
რა: ის ტიალი მანდამაინც იქ რამ დაახრჩო!  
სხვა ადგილი ვერ წახა ამისათვის?

— კაცო, ვინ დაიხრჩვა, არ შეტყვი! ხომ  
არ გაგიედი? არც ამაზე მისცა პასუხი ცოლს.  
სახლში შესვლის თანავე დაეშვა ლოგინზე და  
კვლავ წამოიძახა: „ჩემდასაუბედუროდ მანდა-  
მაინც იქ რამ ჩამოახრჩო“. ახლა კი დარწმუნ-  
და ცოლი, ქმარი გამგიყვებიაო და წივილ-  
კვილით „მიშველეთ, მიშველეთ“ მიიქრა მე-  
ზობლებთან. მეზობლები შემოკრბნენ. მალე

გამოირკვა, თუ რა დაიხრჩვა და რა იყო მი-  
ზეზი მ. ონოფრეს მწუხარებისა.

ქვაუშდელი.

**მიჰკრიან დღენი.**

ვუძღვნი ია ეკლამეს.

მიჰკრიან დღენი, საუკუნები,  
გრძნობა ფერფლდება, დღე კვლავ დღესა  
სკვლის,

ცხოვრებაც ჩვენი თავქვე ეშვება,  
კენესა კვლავ ისმის შრომისა შეიღის!

იმედის სხივიც კიდევ შორს არის.  
ადამის ძეცა მას უცთის, უცთის...  
მაგრამ ჯერ არ სჩანს, ოდნავ ციმციმებს,  
გლოვობს და სტირის, ცისკარს უყვიის!..

ეჰ, ფიქრო. ფიქრო, სულის ოცნებაე,  
ლალ სევდის ტალღებს ნუ უერთდები,  
მომავალ ყოფნის, გრძნობის იმედო  
მამათ აკლდამებს ნუ უბრუნდები!

წამიყვა ქარო მთას გამაცილე,  
დამანახვეი უცრემლო მონა,  
დამანახვეი მშრომელთ უბანი  
და მიპასუხე, რამ დაიმონა?

მიჰკრიან დღენი, საუკუნები  
ძველი ყვრბები ჯერ არ ჩანთქმულან,  
ტანჯვის მორევში ვბანაობთ კიდევ,  
ბოროტ აჩრდილნი არ დადაგულან.

ს. ბაირონიშვილი.

ქიათურა 16 ნოემბერი.

**მადლობის გამოცხადება**

**მამია რედაქტორა!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთი „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი, კომიტეტის მწვერების, ადგილობრივი კრებულის და მთელი სამრევლოსაგან მცხოვრებს ქალაქ თფილისში ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ლუარსამ გერასიმეს ძე ბოცვაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და მისი სამშობლოს სოფელ ნოდის ახლად აშენებულ შტატის ქვიტკირის ეკლესიას შემოსწირა ხომლი ანუ დიდი კანდელი შუა ეკლესიაში დასაყიდებელი ღირებული თორმეტ თუმნათ (120 მ).

პატივის ცემით ხსენებულ ეკლესიის კომიტეტის წევრების თავმჯდომარე მლ. ვლადიმერ კანდელაკი

**მამია რედაქტორა!**


უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო პირადათ მე და მრევლის მხრითაც დეკანოზს მ. რომანოზ დეკანოსიძეს, რომელმაც შესწირა ჩემდამო რწმუნებულ სამრევლოს ახლად აშენებულს სოფ. დეისის ეკლესიას ტრაპეზის მორთულობა და სხვადასხვა ნივთები ღირებული ოც და ოთხი მანეთისა.

ბაბის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი არტემ გორგაძე.

**შეცდომის გახსენება.**

№ 42 „შინ. საქ.“ მე 15 გვერდზე მებუთე სტრიქონში ზევიდან ყ-დ. სამლ. გიორგის რეზოლიუციაში დაბეჭდილია: „манкирует“ უნდა იყოს „шокирует“.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟებელიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.



**იულიუს საარეკ**

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით

**-x ბუნათმშობისა -x-**

**— ღა —**

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათუმის მაზრისა ამ მშუენიერ ხანგძლივ ფარნებისა

**იზა ი. ნ.**

**უფროსილდით მიმსგავსებას**

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თეფორაძის სახლი.

ტელეფონი № 18.

**3 р.**  
въ годъ за  
24 книги.

# БЮЛЛЕТЕНИ

## ЛИТЕРАТУРЫ и ЖИЗНИ.

Двухнедельный журнал **НОВАГО ТИПА.**

Открыта  
подписка на  
1912—13 г.  
(4-й г. изд.)

**Задача журнала**— всесторонне отражать картину идейной, духовной жизни страны. Журналъ печатаетъ только то, что имѣетъ *долгительный интересъ, интересъ, такъ сказать, вѣчности, что раскрываетъ жизнь въ ея основѣ, что углубляетъ душу читателя и расширяетъ его умственный кругозоръ.* Библиогр. отдѣлъ представленъ въ такомъ исчерпывающемъ видѣ, какъ ни въ одномъ изъ существующихъ журн. Библиографія, какъ она ведется въ „Бюллет.“, необходима для самаго широкаго круга читателей. ♦ О такомъ типѣ изданія мечтали Г. Успенскій (см. „Русск. Бог.“, 1912 г., III кн. „Изъ переписки Успенскаго“) и Ф. Достоевскій (см. бесѣду Дроздовой съ Шатовымъ въ „Бѣсахъ“). ♦ За истекшій годъ въ журн. напечатано 350 статей и около 1.000 отзывовъ о кн., данъ перечень 2.500 новыхъ кн., и приведено содерж. 40 журн. за весь годъ.

### ОТЗЫВЫ ПЕЧАТИ.

„Утро Россіи“: „Журн. заслуживаетъ особаго вниманія, какъ період. органъ, дѣйствительно, новаго типа, потребность въ которомъ ощущалась давно. Въ журн. сообщается все наиболее интересное, что дано декушей печатью“. ♦ „Русск. Вѣдом.“: „Бюллетени“ довольно хорошо справляются со своею задачею. Они знакомятъ болѣе или менѣе обстоятельно съ выдающимися явлениями современной жизни“. ♦ „Русск. Школа“: „Бюллет. дѣлаютъ свое дѣло умѣло и живо. Они любопытны даже для легкаго чтенія. Какъ справочникъ же, „Бюллет.“ оказываютъ огромную услугу“. ♦ „Огни“: „Бюллет.“ завоевываютъ себѣ все больше и больше симпатію публики. Трудно представить человека, съ известными культурными запросами, который бы не нашелъ для себя чего-либо интереснаго въ журн. Они даютъ въ каждомъ номерѣ статьи о новыхъ теченіяхъ въ литературѣ, о всѣхъ вопро-

сахъ, затронутыхъ литературой, о всѣхъ новыхъ книгахъ, о всѣхъ журн.“. ♦ „Русск. Сл.“: „Въ журн. запечатлѣна вся литературная жизнь года“. Ему также „нельзя отказать въ значеній хорошаго справочника, пользование котор. облегчается соотвѣств. указателями“. ♦ „Совр. Сл.“: „Бюллет.“ переплетены теперь въ два изящныхъ тома и представляютъ собой обзоръ минувшаго года въ литератур.-художеств. и идейномъ отношеніи... Задача журн. имѣетъ несомнѣнно культурное значеніе“. ♦ „Голосъ“: „Бюллет.“ отмѣчаютъ все болѣе или менѣе выдающееся во всѣхъ отрасляхъ науки и литературы... Въ журн. сосредоточено все новое, что позволяетъ постоянно быть въ курсѣ настроеній и исканій, какъ отечественной, такъ и мировой мысли. Дешевая цѣна дѣлаетъ его доступнымъ широкому кругу читателей“.

### ПРОСПЕКТЪ ПО ТРЕБОВАНІЮ ВЫСЫЛАЕТСЯ БЕЗПЛАТНО.

Подписная цѣна: на годъ—3 р. Разрочка: 1 р.—при подп., 1 р.—къ 1-му янв., 1 р.—къ 1-му мая. для сельск. учит. на годъ—2 р. 50 к.

Подписной  
годъ  
начинается  
съ 1-го  
сентября.

Подписка принимается во всѣхъ книжн. магаз. и  
почт. учрежд.

Контора и ред.: Москва, Хлѣбный, д. 1.

Изд.: В. Крандіевскій и В. Носенковъ. Ред. В. Крандіевскій.

Можно под-  
писываться  
съ 1-го чис-  
ла кажд.  
мѣс.